ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

11 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 194 (10368) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყაიმი... 110-ე სვლაზე

პრეტენდენტთა ტურნირზე

**ბორჯომში** მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირზე მეორე ტურის პარტია ნანა იოსელიანსა და ნონა გაფრინდაშვილს შორის გადადებული იყო მეტად იშვიათ, ოთხი კუს ენდშპილში გაფრინდაშვილისათვის ზედმეტი პაიკით.

პარტია სარეკორდოდ დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს 110-ე სვლაზე იგი ყაიმით დამთავრდა.

ახლა მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | მ. | ყ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| გალიამოვა | 3 | 0 | 0 | 3 |
| გაფრინდაშვილი | 1 | 1 | 1 | 1,5 |
| იოსელიანი | 0 | 3 | 0 | 1,5 |
| ახმილოვსკაია | 1 | 1 | 1 | 1,5 |
| მარიჩი | 1 | 1 | 1 | 1,5 |
| სი ჟუნი | 1 | 1 | 1 | 1,5 |
| კლიმოვა | 0 | 2 | 1 | 1 |
| კახიანი | 0 | 1 | 2 | 0,5 |


ნ. გაფრინდაშვილი


ნ. იოსელიანი


ქ. კახიანი


სი ჟუნი


ე. ახმილოვსკაია-დონალდსონი


ა. გალიამოვა


ა. მარიჩი


ე. კლიმოვა-რიჩტეროვა

# ელეგანტური ლეილა მესხი

**ჩოგბურთელთა** ნებისმიერი ტურნირის პრესტიჟსა და ავტორიტეტს დღეს მისი საპრიზო ფონდი განსაზღვრავს. 100 ათასი დოლარი, რომელიც ახლახან დამთავრებული „კრაფტ ჯენერალ ფუდსის“-თვის იყო გამოყოფილი იმდენად მცირე თანხაა, რომ სასპარეზოდ მოსკოვში ბევრი უძლიერესი ჩოგბურთელი არც ჩამოსულა. ორგანიზატორები ამის გამო გაკვირვებასა და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, მაგრამ გაუგებარი აქ არაფერი იყო. წავიდა ის დრო, როცა უცხოელი სპორტსმენები მოსკოვში კრემლისა და წითელი მოედნის სანახავად ჩამოდიოდნენ. საბაზრო ეკონომიკა, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავს, რომ უცხოელი სპორტსმენი მატერიალურადაც უნდა დააინტერესო. ხარისხიან „პროდუქციასაც“ სწორედ ამ შემთხვევაში მიიღებ.



ასე იყო თუ ისე, შეჯიბრება ჩვენმა თანამემამულემ ლეილა მესხმა მოიგო და რაც მთავარია, ერთგვარად გაიუმჯობესა რეიტინგი მსოფლიოს კლასიფიკაციაში. დასამალი რაა, ქართველი ჩოგბურთელი ახლა მსოფლიოს თექვსმეტ უძლიერესში მოსახვედრად იბრძვის, რაც მას ქალთა ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირის „ვარჯინია სლიმზის“ ფინალში თამაშის უფლებას მისცემს. რაც შეეხება ჰონორარს, მესხმა ამ წარმატებისათვის მხოლოდ 18 ათასი დოლარი მიიღო. თანამედროვე ჩოგბურთის საზომით ეს სასაცილო თანხაა.

სამაგიეროდ, ქართველ სპორტსმენს მოსკოვში გადაეცა პრიზი, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ნებისმიერი ქალისთვის უფრო სასიამოვნოც არის და საამაყოც, ვიდრე 18 ათასი დოლარი. ლეილა მესხს ამ ტურნირზე „კორტების ლედის“ სახელი მიენიჭა. პრიზი დააწესა ოლეგ ანტონოვის სახელობის კიევის საავიაციო საკონსტრუქტორო ბიურომ (მსოფლიოში ყველაზე დიდი ავიალაინერის „მრიას“ მინიატურული ასლი) და გადასცა მესხს, როგორც ყველაზე ელეგანტურ, თავაზიან და ინტელიგენტურ ჩოგბურთელს.

ვ. გენგიურის ფოტო

# შმალ იქცა მსჯელობის საგნად

**7 ოქტომბერს** „ლელოში“ დაბეჭდილ სპორტის სათამაშო სახეობათა წარმომადგენლების ღია წერილს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, ფინანსთა მინისტრისადმი, რესპუბლიკის საზოგადოებრიობისა და ქართული სპორტის ყველა გულშემატკივრისადმი წავუმძღვარეთ შესავალი, რომელიც ნათლად ასახავს წერილის არსს: „ყურადღება! ქართული სპორტი შველას ითხოვს, რეალური საფრთხის წინაშეა სპორტის სათამაშო სახეობებში საამაყო ეროვნული ტრადიციები, უსახსრობით ინგრევა ქართული სპორტის სიმბოლური ნაგებობა...“

წერილი უმალ იქცა ადრესატთა, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის მთავრობის მსჯელობის საგნად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის დემურ დვალიშვილს დაევალა — მოუხედავად მრავალი პრობლემისა, გამონახოს სახსრები და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს სპორტსმენთა თხოვნა, ვინაიდან დღეს როგორც არასდროს, ქართულ ეროვნულ სპორტს დაუსახსრებლად სჭირდება დახმარება.

## საქართველოს თასზე

**გუშინ** თბილისის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი თბილისის („იბერიასა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის. შეხვედრა დასრულდა „გურიის“ გამარჯვებით — 1:0.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# კერძო პირები უხდიან

**როგორც** ცნობილია, კასპაროვ-კარპოვის მატჩის საპრიზო ფონდი 3 მილიონ დოლარს შეადგენს, რომლის 5/8 ნაწილი გამარჯვებულს დარჩება, 3/8 კი — დამარცხებულს. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ჰონორარს მოჭადრაკეებს საერთაშორისო ფედერაცია კი არა, კერძო პირები უხდიან. ასე, მაგალითად, საპრიზო თანხის ნახევარი — მილიონნახევარი დოლარი შეიტანა ცნობილმა ამერიკელმა ბიზნესმენმა და ფილანთროპმა — თედ ფილდსმა. ეს ჭადრაკის ისტორიაში კერძო პირის მიერ გაღებული თანხის უდავოდ სარეკორდო რაოდენობა გახლავთ. პრიზის მეორე ნახევარს ლიონში ფრანგი მილიონერები და ქალაქის მაგისტრატურა გაიღებენ.

ნიუ-იორკში მატჩის საორგანიზაციო კომიტეტში ბევრი ცნობილი პიროვნება შევიდა, მათ შორის არიან აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჭადრაკისა და ფეხბურთის ქომაგი ჰენრი კისინჯერი, ქალაქ ნიუ-იორკის მერი დევიდ დინკინზი. ცნობილი ფინანსური მაგნატი და პოლიტიკური მოღვაწე დევიდ როკფელერი, ტელერადიო-საჟურნალო მაგნატი რობერტ მერდოკი და სხვები.

თამაში მიმდინარეობს ბროდვეიზე, თეატრ „ჰუძონის“ სცენაზე. კასპაროვს კომფორტაბელური სასტუმროს მთელი სართული უკავია, კარპოვი კი თვლის, რომ იგი ცუდად მიიღეს. აი, რა განუცხადა მან გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ კორესპონდენტს:

— დაბინავების თვალსაზრისით დიდ პრობლემებს წავაწყდით. დასაწყისში მასპინძლებმა მე და ჩემს რაზმს საკმაოდ უბრალო სასტუმრო შემოგვთავაზეს. შემდეგ გადაიფიქრეს და პრაქტიკულად ცხოვრებისა და მუშაობისათვის შეუფერებელ ახალ სახლში მოგვათავსეს. ამასთან დაკავშირებით ჩემი თანაშემწეები ხუმრობენ: ამერიკაში ჩვენი ზეწრებით ჩამოვედითო. ამ პრობლემებს მთელი კვირის განმავლობაში წყვეტდნენ, ტელევიზორიც ბოლო დღეებში მოგვიტანეს, თუმცა მე ნიუ-იორკში ჯერ კიდევ 22 სექტემბერს ჩამოვედი.

# ჭაბუკთა ნადავლი

**ჟიდაობაში** ნიჭიერი თაობა მოგვდის, ხშირად გვითქვამს და არცთუ უსაფუძვლოდ. საბუთად თუნდაც ახლახან ოდესაში ჩატარებულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირს (თავისუფალ ჭიდაობაში) მოვიშველიებთ, სადაც ასპარეზობდნენ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ჭიდაობის სპორტსკოლისა („მართვე“) და გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების სპორტსკოლის გუნდებიც.

თბილისელებმა ამ ტურნირზე გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო სოფელ გამარჯვების გუნდმა — მესამე.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს გარდაბნელებმა: თამაზ ბაბლოიანმა (32 კგ), გენადი მინდიკაურმა (44 კგ), ზაზა გავაშელაშვილმა (48 კგ); თბილისელთაგან — ელგუჯა ხვთისიაშვილმა (69 კგ), ლევან მიქაძემ (74 კგ), მიხეილ იაძემ (80 კგ) და მძიმე წონაში — ფილიმონ აბრამიშვილმა.

გარდა ამისა, ჩვენმა ჭაბუკებმა სამი მეორე და სამიც მესამე ადგილი დაიკავეს. თბილისის გუნდი მოამზადა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თენგიზ ლამბაშიძემ, გარდაბნელებისა — ავთანდილ ონიაშვილმა.

# „ცხენები და მხედრები ურთმანეთოდ სახელს ვერ შეიძენენ“

ჩამი ფიქრისა. ჟამი განსჯისა

იმას, თუ როგორ შეძლებს ახალგაზრდა სერიოზულ სპორტულ ასპარეზობაზე გამოსვლას, მრავალთა მომთხოვნი (ავი თუ კეთილი) თვალი დარაჯობს. ცხადია, იგივე ითქმის ცხენოსნობაზე — მით უფრო, რომ აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტიურ მონდომებას (მარტო სპორტსმენი ვერას გახდება სხვათა შეწევნის გარეშე), საერთო ორგანიზაციას.

ლუგანსკში ამას წინათ ჩატარებულ ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური ასპარეზობიდან ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში (გაწვრთნილობა, სამჭიდი, დაბრკოლებათა გადალახვა) საქართველოს გუნდი, თუ გავითვალისწინებთ წინა წლების ულიმღამო გამოსვლებს, ნამდვილად სახელოვნად დაბრუნდა, რამაც არ შეიძლება ოპტიმისტურად არ განგვაწყოს რესპუბლიკის ჭაბუკი მხედრების, ამჟამინდელი სპორტული ცხენების, მწვრთნელების შესაძლებლობათა მიმართ.

თავად განსაჯეთ: II გუნდური ადგილი სამჭიდში, V — დაბრკოლებათა გადალახვაში (გუნდური შედეგები ცალკეულ სახეობებში ჯამდებოდა); III პირადი საპრიზო ადგილი — სამჭიდში და ჩემპიონობა დაბრკოლებათა გადალახვაში — ეს მონაპოვარი ნებისმიერი გუნდისათვის სახარბიელო იქნებოდა.

ჩვენმა ნაკრებმა მხოლოდ გაწვრთნილობაში ვერ შეძლო გუნდის (2 მონაწილის) გამოყვანა. ამიტომ რესპუბლიკის სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზის სპორტსმენი იზაბელა ბაღდასაროვა (ცხენი — არაბული ლატვიური ულაყი მამბო) პირად პირველობაში გამოდიოდა და არცთუ ურიგოდ იასპარეზა (XI ადგილი 27 მონაწილეს შორის; მწვრთნელი —იუნონა კოჟინა).

სამჭიდის გუნდი ოჩამჩირისა და თბილისის საცხენოსნო ბაზის მხედრებითა და ცხენებით იყო დაკომპლექტებული: ოჩამჩირელები — მერაბ სამუშია, ავქსენტი კორსაგია (ცხენები — პოდოლსკი და გარდი), თბილისელები —ხვიჩა ათანელიშვილი, ზურაბ ჯინჭარაძე (ცხენები — კსარი და ტიგრი).

დაბრკოლებათა გადალახვაში გამოდიოდნენ: ზვიად ანჩაბაძე (გალი, ცხენი რაზბორი), ჯონი მარხულია (ოჩამჩირე, ფურტი), ალექსანდრე ჭელიძე და ნოდარ სიფრაშვილი (საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს თბილისის საცხენოსნო სკოლა, ცხენები — ზორსაჟი, დაკარი).

საქართველოს სამჭიდელთა გუნდი (ცხენებიცა და მხედრებიც) სპეციალისტთა აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო იყო. საერთო ფონის დასახასიათებლად ვიტყვით, რომ ლუგანსკის ასპარეზზე უძლიერესი ცხენები მონაწილეობდნენ, ხოლო იქაური საველე გამოცდის ტრასაზე ტარდება უკრაინის პირველობა. სტოკჰოლმის წლევანდელი მსოფლიო ასპარეზობის წინ აქ მოეწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება სამჭიდში.

მართალია, პირველი დღის სამანეჟო სვლის შემდეგ ჩვენი გუნდი ჩამორჩა, ბიჭები ძალზე ღელავდნენ (მსაჯობაც მკაცრი იყო), მაგრამ მეორე დღეს მინდორზე გამოავლინეს საუკეთესო მომზადება. თბილისის 141-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ხვიჩა ათანელიშვილმა სტიპლჩეისის მონაკვეთზე გადააცილა დროს 3 წამით, ხოლო კროსი უშეცდომოდ გაიარა. ეს 3 წამიც მსაჯთა კოლეგიის „დამსახურებაა“. მან შუა შეჯიბრებაში შეამცირა სტიპლჩეისის მონაკვეთის გავლის დრო — მანძილი არასწორად აგვიზომავსო. ასევე კარგად გამოვიდა ხვიჩა მესამე დღეს — დაბრკოლებათა გადალახვაში (მხოლოდ სამმა მონაწილემ შეძლო კონკურის უშეცდომოდ გავლა); ცხადია, პირადი მესამე (თანაც დაუყვედრებელი) საპრიზო ადგილი ჭაბუკი მხედრის, მისი აღმზრდელების დიდი გამარჯვებაა; გუნდის სამ საუკეთესო მაჩვენებელში შევიდა, აგრეთვე, ა. კორსაგიასა და მ. სამუშიას შედეგები. აღსანიშნავია ზ. ჯინჭარაძის დამაჯერებელი, უშეცდომო გამოსვლაც (საველე ასპარეზზე). პოდოლსკი და გარდი, აგრეთვე ტიგრი, რესპუბლიკის უძლიერესი ცხენებია და მათ ახლაც, საკავშირო სარბიელზეც, ერთგული სამსახური გაუწიეს ჭაბუკ მხედრებს. ფავორიტთა რიცხვს მიემატა ინგლისურ-ყაბარდოული ულაყი კსარი; მან შარშან ამიერკავკასიის თასის გათამაშებაზე ახალგაზრდა ცხენების კონკური მოიგო (ვლადიმერ თუაევი წვრთნიდა თავიდან ამ ცხენს), ხოლო წელს საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე დაბრკოლებათა გადალახვაში სამივე კონკურში ბრწყინვალედ გაიმარჯვა (მხედარი — ხვიჩა ტუსიშვილი); ათანელიშვილმაც საპრიზო ადგილის მოპოვებით დაიწყო ამ ცხენთან პარტნიორობა. (III ადგილი ერთ-ერთ კონკურში საქართველოს წლევანდელ პირად-გუნდურ პირველობაზე ჭაბუკთა და იუნიორთა შორის). დიდ ასპარეზზე ახლანდელი წარმატებული გამოსვლა (ჭაბუკთა სამჭიდში) ბედაურის კარგად დაწყებული სპორტული ბიოგრაფიის კანონზომიერი გაგრძელებაა.

გალელი ზვიად ანჩაბაძისა და 9 წლის ბუდიონნური ჯიშის იაბოს რაზბორის წყვილი საქართველოს კლასიკური ცხენოსნობის საიმედო ძალად იქცა. „საოცრად გაწონასწორებული, მტკიცე ხასიათის ჭაბუკია, მშვიდი, აუღელვებელი“ — ასე ახასიათებს ზვიადს ახლანდელი ნაკრების მწვრთნელი. რაზბორი მისი მხედრობით წელს შესანიშნავად გამოვიდა ამიერკავკასიის თასზე (II ადგილი საკმაოდ ძლიერ მონაწილეთა შორის); დამაჯერებლად გაიმარჯვა საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე; მაგრამ გაზაფხულის მიწურულს ოჩამჩირეში ზემოხსენებულ ასპარეზობაზე კი ველარ გამოვიდა ტრავმის გამო, თბილისში შეკრებაზე ნელ-ნელა შევიდა ფორმაში.

გახსნის პრიზზე (დაბრკოლებათა სიმაღლე 130-130 სმ) ანჩაბაძემ და სიფრაშვილმა 8-8 საჯარიმო ქულა მიიღეს, ჭელიძემ — 12; თასის (130-140 სმ) კონკურში (გუნდური) ანჩაბაძემ მეორე შედეგი აჩვენა. სიფრაშვილისა და ჭელიძის გამოსვლის შემდეგ საქართველოს გუნდი V ადგილზე აღმოჩნდა. ამ შეჯიბრების შემდეგ 40 მონაწილიდან 20 მხედარი დაუშვეს პირადი პირველობის კონკურში (150 სმ. 1 ჰიტი, 13 დაბრკოლება, 16 ნახტომი); მათ შორის იყო სიფრაშვილიც, მაგრამ ცხენი (დაკარი) დაუკოჭლდა. ანჩაბაძემ მხოლოდ 4 საჯარიმო ქულა მიიღო (1 დაბრკოლების დაზიანება). ასეთივე მაღალი შედეგით გაიარა მარშრუტი რსფსრ-ს წარმომადგენელმა (ლ. ლალოვმა), მაგრამ დროს გადააცილა და მეორე აღმოჩნდა.

ცხენოსნობაში წარმატება შემთხვევით და იოლად არ მოდის. ჭაბუკთა ახლანდელი გამარჯვებაც, როგორც უშუალოდ ნაკრების მწვრთნელთა (სამჭიდი — ოთარ ნარმანია, ოჩამჩირის საცხენოსნო კლუბი, დაბრკოლებათა გადალახვა — ვიქტორ გოგლიძე, თბილისის საცხენოსნო სკოლა). ისე „შინაურ“ აღმზრდელთა დამსახურებაა. მონაწილეთა დიდი ნაწილი თვით ნარმანიასა და გოგლიძის მოწაფეებიც კი არიან, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ მწვრთნელები შალვა ჭაფოძე და კირიაკ გაშიბაიაზოვი (თბილისის საცხენოსნო ბაზა, მარდონ ლაბაშია (გალი), ავაგ სამველიანი (ოჩამჩირე)...

ერთიც უნდა დავუმატოთ:

საცხენოსნო სპორტში საფრთხე ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული: თვით მწვრთნელის ვ. გოგლიძის მიერ საგულდაგულოდ დაჭედილმა რაზბორმა უკანა ფეხები გაიფუჭა. დაიგლიჯა დახურულ „ცხენსაზიდში“ (დაუჭედავის წაყვანა უფრო ძნელია. ფლოქვები უსრიალებს, უარესი ტრავმაა მოსალოდნელი). ასპარეზობამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი. თანაც ასეთი რანგის შეჯიბრებაზე ეწყობა ე. წ. გამოყვანა, დათვალიერება ცხენებისა — სპეციალისტები ვიზუალურად ამოწმებენ ყოველი ბედაურის ჯანმრთელობას. ჩვენი ვეტექიმი ალექსი ქარუმიძე 4 დღე და ღამე არ გამოსულა თავლიდან და, უნდა ვთქვათ, რომ სასწაული მოახდინა: ფეხებდაგლეჯილი ცხენი საღ-სალამათად წარუდგა მომთხოვნ კომისიას და გადამწყვეტ ასპარეზობასაც ჯანმრთელი შეხვდა (იქ ხომ მარტო თვალი აღარ წყვეტდა საქმეს).

დაბოლოს, აუცილებელია ამის აღნიშვნაც:

როგორც სახელოვნად დაბრუნებული გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, თბილისის საცხენოსნო ბაზის დირექტორმა ალექსანდრე დგებუაძემ გვითხრა, საქართველოს ნაკრები მარტო კარგი შედეგებით არ გამოირჩეოდა. იგი სანიმუშო ყოფილა სპორტული დისციპლინით, საერთო წესრიგით, ღირსეული თავდაჭერითა და საერთო საქმისთვის თავდადებით. ეს კი დღეს შეიძლება ყველაზე დასაფასებელიც იყოს! ამდენად, ლუგანსკში მოპოვებულ წარმატებას შეიძლება უფრო ფართო მნიშვნელობაც კი მივანიჭოთ. დღეს მეცხენეობაც, ცხენოსნობაც (როგორც ეროვნული, ისე კლასიკური სახეობანი). ფართო სამეურნეო, ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების მასტიმულირებელი დარგი ხდება. ეს საქართველოშიც ფრიად საგრძნობია, ცხენები და მხედრები ურთმანეთოდ სახელს ვერ შეიძენენ. კარგი სახელი კი სპორტსაც სჭირდება და, ალბათ, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველსაც, რომლის გარდუვალობაც დღეს თუ ხვალ ცხენოსნობაშიც აუცილებლად შეგვახსენებს თავს.

**ნოდარ ებრალიძე**

* * *



**სურათზე:** საქართველოს ჭაბუკ სამჭიდელთა ნაკრები გუნდი; სხედან (მარცხნიდან) ზ. ათანელიშვილი, მ. სამუშია, დგანან: შ. ჭაფოძე (მწვრთნელი), ა. კორსაგია, ზ. ჯინჭარაძე, ო. ნარმანია (მწვრთნელი), ა. დგებუაძე (უფროსი მწვრთნელი).

დავფიქრდეთ. ვიმოქმედოთ. ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!

# მჯერა, აშენდება!

**ვაცეცანი** „ლელოს“ წინადადებას სპორტის ეროვნული სახეობების ცენტრის შექმნის თაობაზე.

გულახდილად რომ გითხრათ, პირადად მე, უკვე კარგა ხანია ვოცნებობ თბილისში ამგვარი ცენტრის შექმნაზე. ეს ოცნება მას შემდეგ გამიჩნდა, როცა ვნახე, თუ როგორი სპორტული ბაზებია ინგლისში, საფრანგეთში, ზიმბაბვეში და იტალიაში. ამ ქვეყნების ყოველ სპორტულ კლუბს აქვს რამდენიმე სპორტული მოედანი და დარბაზი. იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სარაგბო ბაზას (რომელზეც საქართველოს მორაგბეთა ნაკრები შეხვდა „ლაციოს“), მაგალითად, აქვს ექვსი ფეხბურთის, ხუთი რაგბის, ოთხი ბალახის ჰოკეისა და ორი კეტბურთის მოედანი; აგრეთვე — საცურაო აუზი, ტირი, საფარიკაო დარბაზი, სპორტსმენთათვის განკუთვნილი სასტუმრო, სასადილო და კაფეები, შადრევნებითა და ყვავილებით დამშვენებული სკვერები. აუარება ხალხი იყრის თავს საღამოობით— ბავშვები, ახალგაზრდები და მოხუცებიც კი მოდიან ამ ბაზაზე სავარჯიშოდ. ვარჯიშის მერე ისინი კაფეებსა და სკვერებში გადაინაცვლებენ, სადაც საათობით ბჭობენ, კამათობენ, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს, რა თქმა უნდა, სპორტის შესახებ. და ეს ყველაფერი ერთ ბაზაზე ხდება, რომელიც თითქმის ქალაქის ცენტრშია და მისადგომად ყველასთვის ხელსაყრელია.

სამწუხაროა, რომ ამგვარი ადგილი საქართველოში არ გაგვაჩნია. თბილისშიც კი მოედნების რაოდენობის მხრივ მართლაც კატასტროფული მდგომარეობაა. თუ სადმე თავისუფალი ადგილი გამოიძებნა, იქ უთუოდ სახლი უნდა ავაშენოთ. რა დროს მოედნებია, როცა ხალხს საცხოვრებელი ბინები არ ჰყოფნის, ბავშვებს — საბავშვო ბაღები და სკოლები? — იკითხავს ვინმე. კი ბატონო, სახლიც ავაშენოთ და პატარა ადგილი სავარჯიშოდაც მოვიტოვოთ.

ზიმბაბვეში, მაგალითად, ყველა სახლისა და სასტუმროს წინ არის პატარა საცურაო აუზი და, რა გასაკვირია, რომ იქ კაცი არ შემხვედრია, ცურვა არ იცოდეს. ამას წინათ მონაწილეობა მივიღე ფიზკულტურის ინსტიტუტის საგამოცდო კომისიის მუშაობაში და ჩემს გულისტკივილს არ ჰქონდა საზღვარი, როცა ვნახე, რომ 25-26 წლის ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებს 25 (!) მეტრის გაცურვა უჭირთ. მაგრამ ეს მხოლოდ მათი ბრალი არ არის, რა ქნან, სად ისწავლონ ცურვა?

ახალ საცხოვრებელ სახლებთან არის მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. მე არაერთხელ ვყოფილვარ მტკვრის სანაპიროზე, ყოფილი საბაგირო გზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ იქ შეიძლება, არანაკლებ 6-8 ბალახის საფარიანი სპორტული მოედნის აშენება, აგრეთვე, საცურაო აუზის, ტირის, სასტუმროსა და კაფეების მოწყობა. თავისუფლად გამოინახება საშუალება ლელობურთის, ქართული ჭიდაობის, ლახტის, მშვილდოსნობისა და სხვა სახეობათა წარმომადგენლების გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ ადგილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ მტკვრის ორივე მხარეს, არსად არ არის იმხელა ტერიტორია, სადაც შესაძლებელი იქნება სპორტული ქალაქის გაშენება, რაც მთავარია, მტკვართან სიახლოვე საშუალებას მოგვცემს მორწყვის პრობლემა გადავჭრათ; თანაც ეს ადგილი ქალაქის ცენტრშია, ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება და სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებს ხალხიც მრავლად დაესწრება.

ვინ უნდა ააშენოს და უპატრონოს ეროვნულ სახეობათა ცენტრს, რომელიც, იმედია. ჩვენი მონდომებითა და რუდუნებით მალე რეალობად იქცევა. ვფიქრობ — საქართველოს სპორტსახკომმა ან ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. თუმცა, ურიგო არ იქნება, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის პროფკავშირებმა და სპორტის სხვადასხვა სახეობათა ფედერაციებმაც მიიღონ მონაწილეობა ამ საშვილიშვილო საქმის ხორცშესხმაში. საჭიროა, ამ ორგანიზაციებმა არ დაიშურონ ის საშუალება, რაც მათ ხელთაა და რაც სასიკეთოდ წაადგება ცენტრის შექმნას — ზოგმა ფულადი დახმარება გაუწიოს, ზოგმა სამშენებლო მასალებით...

მე, როგორც საქართველოს რაგბის კავშირის მდივანი, მოგახსენებთ ქართველი მორაგბეების აზრს: ჩვენ გამოვყოფთ ბრიგადებს, რომლებიც, უსასყიდლოდ იმუშავებენ სპორტული ბაზების მშენებლობაზე. ვისაც რით შეგვიძლია, დავეხმაროთ ამ ლამაზი იდეის ავტორებს, მე მჯერა, რომ თბილისში ბევრნი არიან ისეთი კეთილი ადამიანები, რომლებიც არაფერს დაიშურებენ ეროვნული საქმის გასაკეთებლად.

რადგან გაზეთმა „ლელომ“ წამოიწყო ეს საქმე, მინდა ვთხოვო რედაქციას, პერიოდულად გაგვაცნოს ის ადამიანები, ვინც თავის წვლილს შეიტანს ამ დიდებული საქმის განხორციელებაში.

**დავით კილასონია**

# ცნობილი ფალავნის პრიზზე

**ჩვენთან,** სამწუხაროდ, ტრადიციული ტურნირები კლასიკურ ჭიდაობაში ნაკლებად ტარდება. არადა ასეთი ტურნირების დიდი მნიშვნელობა სადავო აღარ არის.

ახლახან რუსთავში გამართული კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირი მრავალრიცხოვანი მონაწილით არ გამოირჩეოდა, თუმცა მოწვეული იყო მრავალი სტუმარი, როგორც საბჭოთა კავშირიდან, ასევე საზღვარგარეთიდანაც. მაგრამ მათგან მხოლოდ სომხეთის გუნდი ვიხილეთ სარბიელზე. ეს ტურნირი, ჭიდაობის მოყვარულებს ეცოდინებათ. ცნობილი ფალავნის — თემურ ყაზარაშვილის პრიზზე ტარდება. ამასთან, სწორედ ამ ასპარეზობის დღეებში მიენიჭა თ. ყაზარაშვილს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ტურნირის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ედიშერ მაჩაიძემ აღნიშნა: „ამგვარი ტურნირების ჩატარება აუცილებელია, მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ მსაჯთა ნაკლებობას განვიცდით, ზოგჯერ მწვრთნელებსაც უხდებათ მსაჯობა, რაც ერთგვარ სირთულეებს ქმნის...“

მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, ტურნირმა საინტერესოდ ჩაიარა, თემურ ყაზარაშვილის სახელობის პრიზი დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიპოვა ბათუმელმა მოჭიდავემ ჯამბულ ფუტკარაძემ (50 კგ).



ჯამბულ ფუტკარაძე

**აკაკი ყანდიაშვილის**
ტექსტი და ფოტო.

# საქართველოს თასზე

„ცხუმი" (სოხუმი) — „ბათუმი" (ბათუმი) 4:0 (1:0).

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 9 ოქტომბერი.

„ცხუმი": ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, მ. ჯიშკარიანი, პაპავა, (გოგრიჭიანი (გადელია), გაბესკირია, კურგენიანი,

„ბათუმი": მამინაშვილი (ბალაძე), გოგიტიძე, მჭედლიშვილი, კულუმბეგოვი, კიკლიაშვილი, ზედანია, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, შანიძე, ტუღუში, მაისურაძე.

მსაჯები: გ. ხეფიაშვილი (თბილისი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი), ი. აბაიაძე (თბილისი).

ორივე გუნდმა, ფაქტიურად, დაკარგა საქართველოს ჩემპიონობის შანსი და ახლა ძირითადი ყურადღება ეროვნულ თასზე გადაიტანა. ამის გამო მათი შეხვედრა პრინციპული იყო და სტადიონზე მოსული 8 ათასი მაყურებელი საინტერესო ბრძოლის მოწმე გახდა.

პირველივე წუთებიდან სოხუმელებმა სახიფათოდ შეუტიეს. ჯიშკარიანმა, ინალიშვილმა, მალანიამ და გოგრიჭიანმა შექმნეს საგოლე მომენტები, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

მე-40 წუთზე გოგრიჭიანის დარტყმული საჯარიმო მოიგერია მამინაშვილმა, ბურთს მიუსწრო დოჩიამ და თავით გადააწოდა ინალიშვილს, რომელმაც „მაკრატელათი" ეფექტური გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში გოგრიჭიანმა უშეცდომოდ დაარტყა საჯარიმო და ორამდე გაზარდა ანგარიში, მანვე 57-ე წუთზე მესამე გოლიც გაიტანა.

ამის შემდეგ ბათუმელები გამოცოცხლდნენ, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ გოლი... საკუთარ კარში გაუშვეს: მიხეილ ჯიშკარიანმა აიძულა ისინი მეოთხედ დაეწყოთ მოედნის ცენტრიდან თამაში.

საპასუხო მატჩი გაიმართება ბათუმში 24 ოქტომბერს.

**თენგიზ პაპუკორია,**
„ლელოს" საკ. კორ.

# ფეხბურთი მონეტებზე

**ნუმიზმატების** კოლექციებში შეიძლება აღმოვაჩინოთ ის მონეტები, რომლებმაც შემოუნახეს კაცობრიობას ინფორმაცია მსოფლიო მასშტაბის სპორტულ ასპარეზობებზე.

ტრადიცია, გამოეშვათ და მიეძღვნათ სპორტული ღონისძიებებისადმი მონეტები, ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იღებს სათავეს. პირველად ეს პატივი ოლიმპიურ თამაშებს მიაგეს — უშვებდნენ მონეტებს ოლიმპიადების პატივსაცემად. ეს ტრადიცია ჩვენს დროში აღორძინდა და დღეს სპორტული ღონისძიებებისადმი მიძღვნილი და გამოშვებულია საკმაოდ ბევრი მონეტა. მათ შორის არის საფეხბურთოც. ლიდერი საფეხბურთო ჭედურობაში გახლავთ აფრიკის სახელმწიფო ეკვატორული გვინეა. 1970 წელს ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით გამოვიდა ორი მონეტა: ოქროს 1000 პესეტი და ვერცხლის ნომინალი — 200 პესეტი. მონეტის ერთ მხარეს გამოსახულია ქვეყნის ღერბი, მეორე მხარეს — ჟიულ რიმეს თასი. ოქროს ფიგურებით გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი ნიკე. თასის ირგვლივ განლაგებულია გამოსახულებანი იმ ქვეყნების ღირსშესანიშნავი ადგილებისა, რომელთა ნაკრებებიც მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ. აქვეა ქვეყნების დროშები და წარწერები: „ურუგვაი-1930", „იტალია-1934," „იტალია-1938", „ინგლისი-1966". მონეტებზე არის აგრეთვე წარწერა — „მექსიკა-70", ჩემპიონატი, რომლის პატივსაცემად გამოჭედეს 650 მონეტა.

მეორე ქვეყანა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მონეტების რაოდენობით არის ჰაიტის რესპუბლიკა. 1972 წელს აქ სამი მონეტა გამოუშვეს: ერთი ოქროსი და ორი ვერცხლისა. მონეტის ერთ მხარეს ჰაიტის რესპუბლიკის ღერბია, მეორე მხარეს — ორი ფეხბურთელის ფიგურა ბურთით, ჩემპიონატის ემბლემა და თარიღი — 1974.

1977 წელს ექვსი საფეხბურთო მონეტა გამოჭედეს არგენტინაში, ქვეყანაში, რომელიც მასპინძლობდა XI მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში და მიუძღვნეს ამ პირველობაში არგენტინის ნაკრების გამარჯვებას. მონეტებზე უფრო მსხვილი ნომინალებით გამოსახულია სამხრეთ ამერიკის კონტინენტი, არგენტინისა და იმ ხუთი ქალაქის ღერბი, სადაც მიმდინარეობდა საფეხბურთო მატჩები. სამი მონეტა — სპილენძ-ნიკელის შენადნობი. მცირე ნომინალებით გამოჭედილია ორი მილიონი ტირაჟით. ხოლო მონეტები მსხვილი ნომინალებით ვერცხლისაა და გამოშვებულია მხოლოდ ორასი ათასი ცალი.

XII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს ფეხბურთში მასპინძლობდა ესპანეთი 1982 წელს, მაგრამ ჯერ კიდევ 1980 წელს ესპანეთის ბანკმა მიმოქცევაში გაუშვა ექვსი მონეტა. ყველა მონეტაზე ამოტვიფრულია წარწერა: „ესპანეთი-82", ქვეყნის ღერბის ელემენტები, ვარსკვლავები და სხვა მორთულობანი, მაგრამ ყველა მონეტას აქვს სხვადასხვა საფეხბურთო სიმბოლიკა.

შორს არაა ის დრო, როდესაც დამოუკიდებლობის სიო საქართველოშიც დაბერავს, ქართული ფეხბურთი გავა საერთაშორისო არენაზე. სწორედ მაშინ გავიხსენებთ ქართულ ტრადიციას და აისახება კიდეც ქართული ფეხბურთის მნიშვნელოვანი მოვლენები მონეტებზეც.

მოამზადა
**ნოდარ გესალაშვილმა.**

# საერთაშორისო მატჩები

**9 ოქტომბერს** მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდისა და ქვეყნის კლუბების ნაკრების ორი შეხვედრა ისრაელის გუნდებთან.

ეს იყო ამხანაგური მატჩები, რომლებსაც მაყურებელთა არავითარი ინტერესი არ გამოუწვევია. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ციფრებს: ოლიმპიელთა შეხვედრას სულ 500 მაყურებელი დაესწრო, ხოლო მთავარი გუნდების თამაშს, სადაც სსრ კავშირის ნაკრები რაღაც გაურკვეველი კლუბების ნაკრების ეგიდით გამოდიოდა, მხოლოდ, 100 კაცი.

ოლიმპიელთა მატჩში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 6:2. საბჭოთა გუნდის მხრივ ბურთები გაიტანეს თედეევმა, ბეჟენარმა, ტიშკოვმა, ონოპკომ, ბენკომ და ჩუგაინოვმა. საბჭოთა ნაკრების კარს მეორე ტაიმში იცავდა ოყროშიძე.

მთავარ შეხვედრაში საბჭოთა კლუბების ნაკრების უპირატესობა კიდევ უფრო სრული იყო და, მით უფრო გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, საბრძოლო მზადებისას, საბჭოთა ნაკრებმა თელ-ავივში მარცხი იწვნია ისრაელის გუნდთან შეხვედრაში — 2:3. ამჯერად ისრაელის ნაკრებში რამდენიმე ცვლილება მოხდა — ზემოხსენებული მატჩის შემადგენლობიდან მინდორზე სულ 7 ფეხბურთელი გამოვიდა, რაც შეეხება საბჭოთა გუნდს, იგი თითქმის მთლიანად განახლებული იყო. თელ-ავივის მატჩის მონაწილეთაგან მინდორზე მხოლოდ ცვეიბა და ლიტოვჩენკო იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ისრაელელთა რიგებში გამოდიოდა ქოზაშვილი.

საბჭოთა კლუბების ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით — 3:0. ორი ბურთი გაიტანა იურანმა, ერთი — ლიტოვჩენკომ (ორივე — კიევის „დინამოდან").

# პელე ემზადება

„**ვუმადლი უფალს, რომ მე კვლავ, ორმოცდათი წლის ასაკში, შემიძლია გამოვიდე 25 წლის მოთამაშეებთან ერთად**" — განაცხადა პელემ მილანში მოწყობილ პრესკონფერენციაზე. რომელიც მიეძღვნა მსოფლიოსა და ბრაზილიის ნაკრებების მომავალ მატჩს. ეს შეხვედრა, რომელიც პელეს იუბილეს ეძღვნება, გაიმართება 31 ოქტომბერს.

პელემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ მსოფლიო ნაკრებში, რომელსაც ფრანც ბეკენბაუერი უხელმძღვანელებს, სხვებთან ერთად ითამაშებენ არგენტინელი მარადონა, ჰოლანდიელები — გულიტი, ვან ბასტენი და რიიკარდი, საბჭოთა ფეხბურთელი ალეინიკოვი, ესპანელი ვასკესი, ინგლისელი უოლკერი, იტალიელები — სერენა და ანჩელოტი. თვითონ იუბილარი აპირებს ერთი ტაიმი მაინც ითამაშოს ბრაზილიელთა შემადგენლობაში.



პელე — მსოფლიო ჩემპიონატების სამი ოქროს მედლის მფლობელი (1958, 1962 და 1970 წ.წ.) — უკვე სამი თვეა აქტიურად ვარჯიშობს თავისი ყოფილი კლუბის „სანტოსის" მოთამაშეებთან ერთად. 23 ოქტომბერს კი, როცა მას 50 წელი შეუსრულდება, იგი მზადებას ბრაზილიის ნაკრების ახალგაზრდა წევრებთან განაგრძობს.

„თუ ოცი წლის წინათ მე უფრო მეტს დავრბოდი, ვიდრე ვფიქრობდი, ახლა ყველაფერი პირიქითაა" — დასძინა ღიმილით პელემ.

### ბუდაპეშტში, 17 ოქტომბერს

**რომი.** იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ფეხბურთში აძელიო ვიჩინიმ დაასახელა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩს გამართავენ 17 ოქტომბერს, ბუდაპეშტში უნგრეთის ნაკრებთან.

გუნდში მოხვდნენ: მეკარეები — ტაკონი („იუვენტუსი") და ძენგა („ინტერი"); მცველები — ბარეზი („მილანი"), ბერგომი („ინტერი"), დე აგოსტინი („იუვენტუსი"), ფერარა („ნაპოლი"), ფერი („ინტერი",) ფრანჩინი („ნაპოლი"); ნახევარმცველები — ბერტი („ინტერი"), კრიპა („ნაპოლი"), დე ნაპოლი („ნაპოლი"). დონადონი („მილანი"), ჯანინი („რომა"), მანჩინი („სამპდორია"), მაროკი („იუვენტუსი"); თავდამსხმელები — ბაჯო („იუვენტუსი"), სკილაჩი („იუვენტუსი"), სერენა („ინტერი").

ვიჩინიმ ახალგაზრდა კაზირაღის („იუვენტუსი") ნაცვლად ბუდაპეშტში გამოცდილი სერენას წაყვანა ამჯობინა. ჩემპიონატის ბოლო მატჩში ტრავმა მიიღო მალდინიმ („მილანი"), ამიტომ იგი ნაკრებში არ არის შეყვანილი. მისი ადგილი ფრანჩინიმ დაიკავა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე შეხვედრას ვიჩინის გუნდი ჩაატარებს რომში, 3 ნოემბერს საბჭოთა კავშირის ნაკრებთან.

### ფრანკ ვან რაიკარდი მიდის

**ჰოლანდიის** ფეხბურთელთა ნაკრების განთქმული მცველი ფრანკ ვან რაიკარდი, რომელიც იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე მინდვრიდან გააძევეს, ჯერ კიდევ განიცდის ამ ამბავს. მან განაცხადა, რომ სურს ეროვნული ნაკრებიდან წასვლა. ცნობა ამის თაობაზე გამოქვეყნდა ჰოლანდიურ გაზეთებში.

ფრანკ რაიკარდმა ჰოლანდიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, ამჟამად ტექნიკურ დირექტორს რინუს მიჰელსს განუცხადა, რომ აღარა აქვს „საკმარისი საფუძველი" ითამაშოს ქვეყნის ნაკრებში.

არადა, ფრანკ ვან რაიკარდს 27 წლის ფეხბურთელს, სულ 44 მატჩი აქვს ნათამაშები ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში და ჯერ არავის უთქვამს, რომ მისი სპორტული ფორმა დაქვეითდა.

# ტრაგედია მთებში

**კატმანდუ.** ჰიმალაის მთიანეთში კიდევ ერთი ტრაგედია მოხდა. მანასლუს (7200 მ. ზღვის დონიდან) მწვერვალზე ასვლის დროს დაიღუპა ყაზახეთის სამთო ექსპედიციის სამი მონაწილე — მურად ვალიევი, გრიგორი ლუნიაკოვი და ზინურ ხალიტოვი. ამ უბედურების შემდეგ ექსპედიციამ შეწყვიტა ასვლა და ქვემოთ დაეშვა.

ნეპალის რადიო-კავშირგაბმულობის ოფიცრის ცნობით, ტრაგედია მოხდა მეტეოროლოგიური პირობების მკვეთრი გაუარესების გამო.

# შანსიც ასეთი უნდა?!

(აშკარა, მაგრამ დაუჯერებელი)

**იტალიის** მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე — კამერუნის ნაკრებმა მთელი სამყარო შესძრა, დღეს ამ გუნდზე კვლავ მსჯელობენ სპეციალისტები, მსაჯები, ჟურნალისტები თუ მოყვარულები. აფრიკელთა თამაში საყოველთაო ყურადღების ცენტრშია.

სრულიად განსხვავებული აზრი გამოთქვა აფრიკის ამ სახელმწიფოს ნაკრებზე ფიფას პრეზიდენტმა ჟ. ავილანჟმა: „მათი გასვლა ქვეჯგუფიდან (I ადგილი) არ გამკვირვებია, გუნდი შემდგომშიც სენსაციებს მოახდენსო".

მართლაც ასე მოხდა. კამერუნელმა „ლომებმა" თამაში იციან: მოუგეს არგენტინის, რუმინეთისა და კოლუმბიის ნაკრებს, ცოტაც და კინაღამ ადრე გაისტუმრეს სამშობლოში, ფეხბურთის ფუძემდებლები — ინგლისელები.

„საქმეების ჩაწყობა" და „წაგებაც" ბრწყინვალედ იციან კამერუნელებმა. მათი ოსტატობა ამ საქმეშიც უმაღლეს პროფესიულ დონეზეა. მაგალითი? — სსრკ-ს ნაკრებთან შეხვედრა და მისი შედეგი.

ჩაწყობები და მაქინაციები მათთვის ახალი სრულებითაც არ გახლავთ. 47:0?! — ფეხბურთის ისტორიაში ასეთი უჩვეულო ანგარიშია ფიქსირებული 1975 წელს, ამ ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ.

ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით „მოუგო" „რესინგმა" „რენესანსს" და ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლის შანსები შეინარჩუნა.

საქმეში ჩახედულმა და ყოვლისშემძლე რეპორტიორებმა თამაშის დაწყებამდე შესძლეს იმის დადგენა, რომ ჩასატარებელი მატჩის მოსალოდნელი ანგარიში ორივე გუნდის ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის უკვე წინასწარ იყო შეთანხმებული. უფრო მეტიც — რადიოკომენტატორმა, რეპორტაჟის დაწყებისთანავე დაამშვიდა „რესინგის" გულშემატკივრები, როდესაც მოსალოდნელი ანგარიში შეატყობინა. ჩვენთვის ცნობილი არ არის, როგორი რეაგირება მოახდინეს ამ ქვეყნის ფეხბურთის ხელისუფლებმა ასეთ უპრეცედენტო შემთხვევაზე, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებას განიცდიდნენ ამ მატჩის მაყურებლები, როდესაც ყოველ 115 წამში (1,55 წთ). „რენესანსის" კარში საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს ბურთი გაჰქონდათ.

**რობერტ კოვზირიძე,**
ტურისტი.

# კალეიდოსკოპი

● **როგორც** ცნობილია, აზიის ოლიმპიურმა საბჭომ ერაყი გარიცხა თავისი ორგანიზაციიდან. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ ინდოეთის სპორტის მესვეურნი, რომლებმაც განაცხადეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციები არ ითვალისწინებდა ასეთ აქციას ერაყის მისამართით.

● **ოლიმპიური** ჩემპიონი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ავსტრალიელი დუნკან არმსტრონგი მონაწილეობას არ მიიღებს 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მის ქვეყანაში ტარდება (ქალაქ პერტში), არმსტრონგი, სხვათა შორის, არც თანამეგობრობის 1990 წლის თამაშებში გამოსულა. მოცურავის განცხადებით მას ჯერ კიდევ აწუხებს ხერხემლის ტრავმა.

● **ჭადრაკის** ამასწინანდელ ტურნირში, რომელსაც ჰამბურგი მასპინძლობდა, სხვებთან ერთად ერთი ამერიკელი მსაჯიც სჯიდა — გეარლ ჯუდი ლესინგ-ჰოპკინი. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა დიდი გერმანელი მწერლისა და განმანათლებლის ლესინგის პირდაპირი მემკვიდრე, რომელმაც სამშობლო 25 წლის წინ დატოვა, გათხოვდა ამერიკაში და იქ დასახლდა.

● **გულის** მწვავე შეტევის შემდეგ ოკლენდში (ახალი ზელანდია) გარდაიცვალა თანამეგობრობა-90-ის თამაშების პრეზიდენტი, სერ ერლ რიჩარდსონი. იგი 68 წლისა იყო.

**საფრანგეთის** სპორტის მინისტრმა როჟე ბამბუკმა ტექნიკური დახმარება აღუთქვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტის იმ ხელმძღვანელთ, რომლებიც სპორტში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ იბრძვიან.

● **დანიის** ველოსპორტის ფედერაციამ გაანთავისუფლა ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი, შვედი სვენოკე ნილსონი, რომელსაც ეს პოსტი ბოლო ხუთი წლის მანძილზე ეკავა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფედერაციამ მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელის აღსაზრდელებმა რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრება წააგეს.

● **შტუტგარტის** ველოსიპედისტთა კლუბმა თვალი დაადგა მსოფლიო ექსჩემპიონ უვე ამპლერს და ახლა მის გადაბირებას ცდილობს. ამ პროფესიული ველოკლუბის შეფი ვინფრიდ ჰოლტმანი ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს ჰოლანდიის პროფესიულ გუნდ პდმ-სთან, რომელთანაც აქვს დადებული კონტრაქტი ამპლერს 1991 წლის ბოლომდე.

● **ბარსელონის** ოლიმპიური თამაშებისთვის აშშ-ს მოცურავეთა ნაკრები გუნდი დაკომპლექტდება შესარჩევი ტურნირის შედეგად. რომელიც გაიმართება გაისად ინდიანაპოლისში (ინდიანას შტატი).

● **როგორც** ცნობილია, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს 20 ქვეყანაში აქვს თავისი დოპინგ-ლაბორატორიები. ოცდამეერთე ასეთი ლაბორატორია გაიხსნა ამას წინათ ათენში.

● **მსოფლიო** ჩემპიონატი კრივში სამხედრო მოსამსახურეთა შორის სურინამში აღარ ჩატარდება. სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანამ შეჯიბრების მოწყობაზე უარი თქვა, მაგრამ მიზეზი არ არის ცნობილი.

● **ჰამბურგის** ჟურნალ „შპორტსის" მონაცემებით გერმანელი მოქალაქე ფიზიკური მომზადებისთვის ყოველწლიურად ხარჯავს 205 მარკას, ეს მონაცემი მიღებულია მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად.

● **აშშ-ის** პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აირჩიეს სენტ-ენდრიუზის (შოტლანდია) გოლფის კლუბის — „როიალ ენდ ეინშენტის" მეცხრე სასაპატიო წევრად.

კალეიდოსკოპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერძნები არ ცხრებიან

**საბერძნეთში** აქამდე ვერ მოუნელებიათ ის ამბავი, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ბერძნებს ხელიდან გამოაცალა 1996 წლის ზაფხულის საიუბილეო ოლიმპიური თამაშები და ამ უდიდესი, მეტად დიდმნიშვნელოვანი შეჯიბრების ჩატარება ამერიკის შეერთებულ შტატებს „გადაულოცა". საბერძნეთის პრესაში ხელჩართული ბრძოლაა გაცხარებული მსოფლიოში ცნობილი კონცერნების, გამაგრილებელი წყლების მწარმოებელი ტრესტების „კოკა-კოლასა" და „პეპსი-კოლას" შორის. ამ ომის მიზეზი ისევ და ისევ ისაა, რომ საიუბილეო თამაშები უნდა ჩატარდეს „სადღაც" ატლანტაში და არა ოლიმპიური თამაშების სამშობლო საბერძნეთში.

აღშფოთებას ბოლო არ უჩანს. საბერძნეთში ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ ოლიმპიური თამაშები ჩატარდებოდა იქ, სადაც თამაშები იმართებოდა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში. ბევრი აქ ჯერ არ კარგავს იმედს და მიიჩნევს, რომ „საუკუნის" ოლიმპიადა მაინც საბერძნეთში ჩატარდება. გამოჩნდნენ ექსტრემისტები, რომლებიც იმუქრებიან, რომ ხელს შეუშლიან ოლიმპიური ჩირაღდნის ანთებას ოლიმპის წმიდათაწმიდა მიწაზე.

## ინფორმაცია

**ბარსელონის** ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა „ოლიმპიადა-92"-ის შეჯიბრების განრიგი. ახლა ცნობილია ყველა, ოცდახუთივე სახეობის ოლიმპიურ ტურნირთა დაწყების თარიღები. დასადგენია მხოლოდ ფეხბურთელთა შეჯიბრების ვადები — ორგკომიტეტმა ფიფას ორი ვარიანტი შესთავაზა და ჯერჯერობით პასუხს ელის.

# გაერთიანებული ძალებით

**ესპანეთში**, „ხერესის" ტრასაზე, გაიმართა მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატის მე-14 ეტაპი „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლაში. გათამაშდა ესპანეთის „გრან პრი".

საკვალიფიკაციო რბოლების შემდეგ, რომელიც აირტონ სენამ მოიგო, ნაიჯელ მენსელმა განაცხადა: „ჩემი ერთადერთი მიზანია, დავეხმარო ალენს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში. გაერთიანებული ძალებით ჩვენ დავამარცხებთ აირტონს". როგორც შემდეგ ვნახავთ, ინგლისელი პილოტი თავის სიტყვას შეასრულებს.

შეჯიბრება ახალი დაწყებული იყო, როდესაც 25 წლის ირლანდიელი პილოტი მარტინ დონელი („ლოტუს-ლამბორგინი") ავარიაში მოჰყვა და მძიმედ დაშავდა. სამწუხაროდ, იგი დიდი ხნით გამოეთიშა ასპარეზობას.

რბოლა არ შეჩერებულა. ლიდერის პოზიცია დიდხანს ეკავა აირტონ სენას. როდესაც ბრაზილიელი პილოტი შევიდა ბოქსში საბურავების გამოსაცვლელად, დაწინაურდა ნაიჯელ მენსელი. მას კვალში ედგა თანაგუნდელი ალენ პროსტი.

დაბრუნდა თუ არა სენა ტრასაზე, ინგლისელმა პილოტმა მაშინვე წინ გაუშვა პროსტი და ცდილობდა გზა გადაეკეტა ბრაზილიელი პილოტისთვის. ამ ორთაბრძოლამ დიდხანს არ გასტანა, სენამ მაინც მოახერხა გასწრება, მაგრამ მალე მისი „მაკლარენი" მწყობრიდან გამოვიდა და ჩემპიონატის ლიდერმა რბოლა შეწყვიტა. ასპარეზობას გამოეთიშა, აგრეთვე, გერჰარდ ბერგერიც.

ამ საინტერესო შეჯიბრებაში იმარჯვა ალენ პროსტმა. მან წელს მეხუთე ეტაპი მოიგო, „ხერესზე" მეორე, 44-ე საერთოდ და 103-ე „ფერარისათვის". 73 წრე, ანუ 307, 914 კმ სიგრძის მანძილი ალენ პროსტმა დაფარა 1 საათში, 48 წუთსა და 01,461 წამში, განავითარა საათში 171,025 კმ საშუალო სიჩქარე.

**რბოლის საბოლოო შედეგი:**

1. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 9; 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი)— 6; (ორივე „ფერარი"); 3. ალესანდრო ნანინი (იტალია „ბენეტონ-ფორდი") — 4; 4. ტიერი ბუტსანი (ბელგია) — 3;5. რიკარდო პატრეზე (იტალია) — 2 (ორივე—„უილიამს-რენო"); 6. აუგური სუძუკი (იაპონია, „ლოლა-ლამბორგინი")— 1 ქულა.

პირადი ჩათვლა (14 ეტაპის შემდეგ):

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა") — 78; 2. ალენ პროსტი — 69; 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია. „მაკლარენ-ჰონდა") — 40, 4. ნაიჯელ მენსელი — 31; 5. ტიერი ბუტსანი — 30; 6. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი") — 26; 7. ალესანდრო ნანინი — 21; 8. რიკარდო პატრეზე — 19; 9. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ტაირელ-ფორდი") — 13; 10. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონ ჰაუს (მარჩ)-ჯადი" )—6; 11. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა-ლამბორგინი") — 5; 12. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ლოტუს-ლამბორგინი")..3; 13-16. სტეფანო მოდენა (იტალია, „ბრებემ-ჯადი"), ალექს კაფი (იტალია, „ეროუზ-ფორდი"), სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია. „ტაირელ-ფორდი"), აუგური სუძუკი — 2-2; 17. მაურიციო გუჯელმინი (ბრაზილია, „ლეიტონ ჰაუს (მარჩ)-ჯადი")-1 ქულა.

**დავით ჩუბინიძე**

# გ. ჩიქოვანი



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფარიკაობაში გალაქტიონ ლავრენტის ძე ჩიქოვანი. დაიბადა 1924 წელს, ქუთაისში. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ქალაქში ჩამოაყალიბა ფარიკაობის ჯგუფები. ახალგაზრდა სპეციალისტი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას და მალე მისი აღზრდილები ხერიოზულ კონკურენციას უწევდნენ თბილისის ნაკრებს. მისი ხელმძღვანელობით დიდ სარბიელზე გავიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები: შ. ხულამანიძე, ო. მოხიძე, ა. გაგულაშვილი, მ. კოხრეიძე, ნ. ახათიანი, ნ. ხახულაშვილი, გ. გიორგაძე, ა. ბობოხიძე და მრავალი სხვა.

სხვადასხვა წლებში გ. ჩიქოვანი მუშაობდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, ქუთაისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, I სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად, განათლების განყოფილების მეთოდისტად, ახალგაზრდული სპორტული სკოლის დირექტორად, ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და თავმჯდომარედ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროს მასწავლებლად. იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის გამგე.

წავიდა შესანიშნავი პიროვნება, ქართული ფარიკაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქომაგი, სანიმუშო აღმზრდელი.

გ. ჩიქოვანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მის კოლეგებსა და მოწაფეთა შორის.

**ქუთაისის საქალაქო სპორტკომიტეტი, ქუთაისის ფარიკაობის საქალაქო ფედერაცია, ბავშვთა და მოზარდთა ქუთაისის ფარიკაობის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტსკოლა.**

# საჭიროა თუ არა მკითხავები?

**დარ-ეს-სალამი.** თუ გსურთ გაიმარჯვოთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, სასწრაფოდ მოძებნეთ გამოცდილი მკითხავი! ასეთია ტანზანიის მრავალი სპორტული მწვრთნელისა და სპორტული ბიზნესმენის შეხედულება. ისინი ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ სპორტულ მოძრაობაში ჩართონ მკითხავები, სხვადასხვა ჯურის ჯადოქრები და მისნები.

ტანზანიელ სპორტსმენებს დიდად სწამთ სასწაულთმოქმედი სუვენირები, ამულეტები, სწამთ თილისმა და რიტუალი, ვინაიდან ეს მიაჩნიათ გამარჯვების მოპოვების აუცილებელ ატრიბუტად, ჰგონიათ, რომ ჯადოქრობა მათ ძალას მატებს, ხოლო მეტოქეს აძაბუნებს და ძალღონეს აცლის.

მაგრამ მთელ ამ სპორტულ მისნობას სხვა მხარეც აქვს. კერძოდ, რაც ამგვარმა ჯადოქრობამ საკმაოდ მოიკიდა ფეხი, მკვეთრად დაქვეითდა ტანზანიის სპორტსმენთა მაჩვენებლები. მინისტრმა ანა აბდალამ სპორტსმენებსა და მათ ხელმძღვანელებს კატეგორიულად მოთხოვა შეწყვიტონ მკითხაობის პრაქტიკა, ხელი მოჰკიდონ თანამედროვე მეთოდებით წვრთნას, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეთ მკაცრად მოეკითხებათ, შეჯიბრებებზე მათ აღარ დაუშვებენ.



# ვისაც ფრენა იტაცებს

**არასდროს** გიოცნებიათ მფრინაობაზე? ან გაიხსენეთ, რა გრძნობა გეუფლებათ, როდესაც ნაჰრის უზარმაზარი გუმბათის ქვეშ დაკიდებულ პარაშუტისტს ხედავთ. აღარაფერს ვამბობთ დელტაპლანერიზმზე, სპორტის ამ შედარებით ახალ სახეობაზე. გინახავთ ალბათ, რა უჩუმრად და ლამაზად სერავენ ზეცას ეს ნაირფერი, უზარმაზარი ჩიტების მსგავსი საფრენი მანქანები.

თუ გინდათ აიხდინოთ ოცნება და თქვენც დაეუფლოთ სპორტის ამ ულამაზეს და ვაჟკაცურ სახეობებს, ეწვიეთ საქართველოს დოსააფის თბილისის აეროკლუბს, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასთან არსებულ სპორტულ-ტექნიკურ კლუბს ან ახმეტის რაიონის სპორტულ კლუბს.

თბილისის აეროკლუბი ამზადებს უმაღლესი პილოტაჟის სპორტული თვითმფრინავების პილოტებს, პარაშუტისტებს, დელტაპლანით მფრინავ სპორტსმენებს.

დიმიტროვის ქარხანასთან არსებული საავიაციო კლუბი — უმაღლესი პილოტაჟის სპორტული თვითმფრინავების მფრინავ-სპორტსმენებს.

ახმეტის საავიაციო სპორტული კლუბი ვერტმფრენებით მფრინავ სპორტსმენებს ამზადებს. მსურველები ფრენასა და ხტომებში სამეცადინოდ დაიშვებიან მხოლოდ სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილებით (კომისიაზე გაიგზავნებიან აეროკლუბის ექიმის მიმართვით.) რა თქმა უნდა, კარგი სწავლა ერთი მთავარი პირობაა სექციაში მისაღებად.

საშუალო სკოლის მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ წერილობითი თანხმობა მშობლებისგან, აგრეთვე სკოლის ან სასწავლებლის მიერ გაცემული დახასიათება.

დაწყებითი სწავლებისთვის თვითმფრინავზე და ვერტმფრენზე სამეცადინოდ მიიღებიან არანაკლებ 16 წლის ასაკის, ხოლო დელტაპლანერიზმსა და პარაშუტით, ხტომაში — არანაკლებ 15 წლის ასაკიდან.

თვითმფრინავზე და ვერტმფრენზე სამეცადინოდ დაიშვებიან მეათე-მეთერთმეტე კლასების მოსწავლეები.

დელტაპლანერიზმისა და პარაშუტით ხტომის სექციაში მიიღებიან არანაკლებ 9 კლასის განათლების მქონე მოზარდები. სპორტულ სექციებში ჩაირიცხებიან ორივე სქესის ახალგაზრდები. თბილისის აეროკლუბში განცხადებები მიიღება პირველ იანვრამდე. მისამართი: თბილისი, დიმიტრი გულიას ქუჩა 3ა, VI სართული (ავტოსადგურის გვერდით).

ახმეტის საავიაციო სპორტულ კლუბში განცხადებები მიიღება პირველ დეკემბრამდე. მისამართი: ახმეტა, მატნის 130-ე პროფსასწავლებელი.

მსურველების მიღება დელტაპლანერიზმის სექციაში იწარმოებს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის № 116-ში, ყოველ პარასკევს 19-დან 21 საათამდე.

**ერთ** კვირას გასტანა ბრიტანული სარაგბო კლუბის — „ბარბერიანსის" („ბარბაროსების") ასი წლისთავის დღესასწაულმა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით კლუბმა მთელი მსოფლიოდან თავი მოუყარა თავის 600(!) წევრს — „ბებერსა" თუ ახალგაზრდა „ვარსკვლავებს" და საუკუნოვანი იუბილე სამი თამაშით აღნიშნა.

როგორც ვიუწყებოდით, პირველ შეხვედრაში „ბარბაროსები" ინგლისის ნაკრებთან დამარცხდნენ — 16:18. აი, მომდევნო ორი თამაში კი „ვარსკვლავებმა" მოიგეს: გასულ ოთხშაბათს კლუბის „დაბადების ადგილას", იორკშირის ქალაქ ბრედფორდში, იქაურ კლუბს ათი ლელო გაუტანეს და 52:7 მოუგეს, შაბათს კი კარდიფის „არმს ფარკზე" უელსის ნაკრები დაამარცხეს — 31:24.

ამ შეხვედრისათვის „ბარბაროსებმა", ინგლისელებთან მატჩისგან განსხვავებით, ექვსი ახალი მოთამაშე გამოიყვანეს. რაც შეეხებათ უელსელებს, მათ ნაკრები სამად სამი მოწინავე კლუბიდან შეადგინეს: „ნისმა" გუნდში რვა კაცი მიავლინა, „კარდიფმა" — ოთხი, „სვონზიმ კი — სამი. გარდა ამისა, უელსის რაგბის კავშირმა ამ თამაშში მონაწილეობისთვის თავის მოთამაშეებს ქეფები ჩამოურიგა.

თამაში მონაწილეთა რეპუტაციის საკადრისი გამოდგა. სტუმრები გაფთრებით უტევდნენ, უელსელები კი მედგრად იცავდნენ თავს. მათმა მცველმა და კაპიტანმა სორბერნმა ამ დღეს დიდებულად ითამაშა: გაიტანა ერთი ლელო, რომელიც თავად გარდასახა, და კიდევ ხუთი საჯარიმო შეაგდო. უელსელთა გარე ნახევარმცველმა ევანსმა კაპიტანის მიერ მოგროვილ 21 ქულას ერთი არეკნიც მოუმატა.

და მაინც, „ვარსკვლავები" საბოლოოდ მას შემდეგ დაწინაურდნენ, რაც სორბერნს ერთ-ერთი დარტყმის დროს დაუფარეს და მის გუნდს მესამე ლელო გაუტანეს — 27:24. სულ კი „ბარბაროსებმა" ამ დღეს ოთხი ლელო გაიტანა. თავი ისახელეს კლუბისა და ავსტრალიის ნაკრების კაპიტანმა ფარჯოუნმა, ახალზელანდიელმა სთენლიმ, რამმა და ინგლისელმა მულატმა გასქოთმა. ინგლისის ნაკრების ყოფილმა გარე ნახევარმცველმა ბარნსმა „ბარბაროსებს" კიდევ 15 ქულა შესძინა (3 საჯარიმო, 3 გარდასახვა).

**შაბათსვე** გაიმართა ახალი ზელანდიის პროვინციათაშორისი თასის — „რანფერლის ლანგრის" — გათამაშების ფინალი, რომელშიც ოკლენდმა სძლია ქენთერბერის — 33:30 (15:15). აღსანიშნავია, რომ დამარცხებულები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე თოთხმეტნი იყვნენ, რადგანაც მათ მცველს შეხვედრის დაწყებისთანავე დაატოვებინეს მინდორი.

**აი, სამხრეთ აფრიკის** ანალოგიური შეჯიბრება — „ქარის თასის" გათამაშება კი მოულოდნელად დამთავრდა. ფინალში ბოლო სამი წლის ჩემპიონმა — ჩრდილოეთ ტრანსვაალის გუნდმა შინ, პრეტორიაში, წააგო ნატალის პროვინციასთან — 12:18.

# უცხოეთის რაგბის ამბები

**დამთავრდა** 1991 წლის მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევი შეჯიბრებები. იტალიის სამ ქალაქში — როვიგოში, ტრევიზოსა და პადუაში ერთ კვირას მიმდინარეობდა ბოლო ამდაგვარი ტურნირი — ევროპის ზონის დასკვნითი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობდნენ წინდაწინვე ფავორიტებად შერაცხული და წინა ეტაპებიდან გათავისუფლებული იტალია და რუმინეთი, ბოლოსწინა ეტაპის გამარჯვებული ესპანეთი და ჰოლანდია.

ახლა მსოფლიო თასის ორგანიზატორთა პროგნოზი. მასპინძლებმა სამივე თამაში მოიგეს: ესპანეთთან (30:6), ჰოლანდიასთან (24:11), რუმინეთთან (29:21), პირველი ადგილი დაიკავეს და საგაისოდ ისეთ ქვეჯგუფში მოხვდნენ, საიდანაც მეოთხედფინალში გასვლის იოტისოდენა შანსიც არა აქვთ. თავად განსაჯეთ: იტალიელთა მეტოქეები ხომ ინგლისის, ახალი ზელანდიისა და აშშ-ის ნაკრებები იქნებიან. უკეთესი პერსპექტივა ესახება ევროპის ზონაში მეორე ადგილზე გასულ რუმინეთს. 1991 წელს მისი მეტოქეები საფრანგეთი, ფიჯი და კანადა იქნებიან, ამ ორი უკანასკნელის დამარცხება კი რუმინელებს დღესვე შეუძლიათ.

**(საქ. ინფ.).**

რედაქტორის მოადგილე
თ. მიზრიაული

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380090,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ეროვნული ბიბლიოთეკა